მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

ივან-ბაბა ბულულაშვილისთვის

ძეგლის აღმართვის გამო.

შინაარსი: **ივან ბაბა ბულულაშვილი. მისი სურათი. სარუ-ბაშს გალაშქრება თეიმურაზ მეფისა**, ლექსად თქმული არჩილ მეფის მიერ,**ინგილოთა სიმღერა.**

ტ ფ ი ლ ი ს ი
ელეკტრონით-მბეჭდავი სტამბა. არ. კერესელიძისი,გაბაშვილის შუკა. №1
1 9 1 4

მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი

ივან-ბაბა |ბულულაშვილისთვის

ძეგლის აღმართვის გამო.

შინაარსი: **ივან-ბაბა ბულულაშვილი. მისი სურათი. სარუ-ბაშს გალაშქრება თეიმურაზ მეფისა,** ლექსად თქმული არჩილ მეფის მიერ. **ინგილოთა სიმღერა.**

ტ ფ ი ლ ი ს ი
ელეკტრონით-მბეჭდავი სტამბა არ. კერესელიძისა, გაბაშვილის შუკა, №1

ივან-ბაბა ბულუღაშვილი.

ივან-ბაბა ბულუღაშვილი.

(1801 – 1872 წ. 20 ივნ.)

ღვთიური ნაპერწკალი განურჩევლად წოდებისა და გვარ-მოდგმისა ყველა წესიერად გაჩენილს თან ტოლად მოსდევს, ხოლო რომ შემდეგ ზოგში ეს ნაპერწკალი ღვივდება ნათელ შარავანდედად და ზოგში კი გაუღვივებლივ იფერფლება და ავლის.ქვეშ იმარხება, ეს აიხსნება არა კაცის შობით გლეხად ანუ აზნაურად, არამედ თვით უზენაესის მიერ ბოძებულ ნიჭის მოხმარებითა, ზრდითა და მოვ-ლით.

ათასად გვარი დაფასდაო, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ არისო, ცუდიაო გვარიშვილობა, თქმულა შოთასაგან.

ივან-ბაბას ღმერთმა დაანათლა უწინარეს ყოვლისა კაცური კაცო-ბა და მერე მან თვითონ ამ კაცურ-კაცობას შესძინა „გვარიშვილო-ბაც“: უნდო მონად გაჩეხილმა ვაშკაცობისას იმისთანა ღვაწლი დას-

დო საქართველოს განაპირა საინგილოს ერს, რომ მადლიერი შთამო-
მავლობა დღეს მას აღუმართავს საუკუნო ძეგლს.

ივან ბაბა ბულუღაშვილი დაიბადა ღარიბი დედ-მამის სახლში
სოფ. კახში 1801 წელს. ეს წელიწადი იყო ის საბედისწერო სი-
ნორი,რომლის დაბლა მოჩანდა საქართველოს გავლილ საუკუნეთა
გმირული წარსული და მაღლა – მომავალ დროის ახალი ცხოვრება
ახალ წეს-წყობილების ზე-გავლენით. ამ დროს კიდის-კიდე დატრი-
ალდა საერთო აზრი, რომ ქართველობა ამიერითგან მოისვენებსო
აუარებელ მტერთა ზედ-მოსევისაგან. მოწინავე ქართველობამ ხმამა-
ღლა დაიწყო ლაპარაკი – მეფე ალექსანდრეს მიერ 1442 წელს გაყრილი
ღვიძლი ძმები იმპერატორ ალექსანდრემ კვლავ შეგვაერთაო. სამართალი
მოითხოვს ვთქვათ, როშ მტრისაგან მრავალნაირად დაჭრილ-დაკოდილ

საინგილოშიო ამ ჩვენს განაპირა მარად მზიანს ქვეყანაში დღიდგან
მის დაპყრობისა დაღისტნელ ლეკთაგან საქართველოსთან შეერთება-
შელევის ნატვრა და წყურვილი არასოდეს არ განელებულა,
პირიქით, დროს განმავლობაში თანდათან უმეტესად გაღვიებული და
გაზრდილა.

მოკლე ისტორია ამ ქვეყნისა მოთხრობილია ჩვენს წიგნში
„საინგილო“ და აქ მის გამეორებას აღარ შევუდგებით, მხოლოდ
დავურთავთ ორიოდ სიტყვას, რომელიც ახასიათებს ინგილოთა
მოთავე კაცების, უმთავრესად ივან-ბაბას სულის სიმტკიცეს, მათს
რუდუნებას თვით-ცნობიერების გასამტკიცებლად საქართველოს ამ
განაპირა მხარეში.

საინგილოს ერთი ნაწილი – ჭარისა – დაიპყრეს ლეკებმა და
მასში მოსპეს ქართველობა სრულიად; ორიოდე სოფელშიღა ბჟუტავ-
და ქართველობა (ელისენი და მისი მისადევრები) და იგინიც დაი-
მორჩილეს (1698 წელს), დახარკეს და დაჩაგრეს. მეორე ნაწილი
კი – კაკ-ელისოს მხარე – შაჰ-აბაზის დროითგან გმინავდა აქაურ სულ-
თნების ბრძანებლობის ქვეშე. ამ სასულთნოში მჭიდროდ მოსახლეობდა
ქართველობა, მხოლოდ აქა იქ მუღალებ შთასახლებული. არც ეს სულთ-
ნები, რომელნიც ძირ-მოდგმით ჩამომავლობდნენ ვახახიშვილისაგან, და
არც ჭარელი ლეკები ქართველობას მოსვენებას არ აძლევდნენ: მათს
საყდრებს ანგრევდნენ, მათს ენასა და ჩვეულებას აბუჩად იგდებდნენ. ამ-
გვარსავე დამცირებაში ჰყვანდათ აქაური მუღალობაც (თათრობა).
ამათ, ქართველობას და მუღალობას, რაიებად სთვლიდნენ, თავიანთ
თავს კი ბატონად, მფლობელა. ამათ უნდა ემუშავნათ, ოფლი
ეღვარათ, იმათ კი მზა-მზარეულად ესვათ-ეჭამათ, ექეიფნათ და
ეომნათ... ქართლ-კახეთის ქართველობასთან!

მტარვალობა სიყვარულს ვერ დაბადებდა. ინგილოებმაც ვერ
შეითვისეს „წუნკალა“ ლეკები, რომელნიც გუშინ მათი ყურმო-
ჭრილი მონები იყვნენ, რომელნიც უხსოვარ დროითგანვე ბარელ
ქართველების ნამუშევარ-მოგებულით საზდოობდნენ. ინგილონი უშიშრად
ებრძოდნენ მტარვლებს, წმინდათ ინახავდნენ თავიანთ რჯულს, თუმცა
ფარულად, თავიანთ ენას და ჩვეულებას. ვინც ჩაუვარდებოდათ ხელში

მტარვლებს,იმავ წამს აწამებდნენ, ვით, მაგადითებრ, აწამეს ზილფი ჯანამვილი, აბრამ ხუციშვილი და სხ., მაგრამ მათ ადგილს სხვები იჭერდნენ, და „რაჲებსა“ და „ბატონებს“ შორის არასოდეს არ შეწყვეტილა მუსრვა-ჟლეტა. შეწუხებული ინგილოები ხან-და-ხან უშიშრად ეუბნებოდნენ მტარვალ სულთნებს ,,დაანელეთ თქვენი ავკაცობა, თორემ დედა-ბუდიანად ავიყრებით, ალაზანს გავალთ და მოძმეთ შევუერთდებით“. ბრიყვი სულთნები ლმობიერდებოდნენ, მაგრამ დროებით, მერე კიდევ იწყებოდა უსასტიკესი დევნა.

ასეთ საშინელ და საზიზღარ ყოფას ბოლო მოეღო I844 წელს, უფრო კი მის მომდევნო 1850-ს.

საინგილოს „ბატონი“ (ასე ეძახდნენ ელისოს სულთანს) გაიქცა დაღისტანს (1844 წ.) და შამილის ნაიბად დაიდგინა. აქაურობა დაღისტნითურთ მაშინ იყო ადგილი, საცა მუდამ და მარად გაისმოდა ომ-ბრძოლის ჩახა-ჩუხი, საცა შამილის მიერ წაქეზებული ლეკობა ონავრობდა, ჰსურდა ერთი დაკვრით ამოეგდო ქართველობის სახსენებელი. მაგრამ მათ მუქარას არ მეუშინდა ქართველობა, პირიქით, თითქო მათ გამოსაჯავრებლად მოინდომა ცხადლივ აღეარა, რომ ის არის ნამდვილი ქართველი, ქართველის რჯულისა, ქართველთა ღმერთის თაყვანისმცემელი. სული და გული ამ მოძრაობისა იყო ივანბაბა რამდენიმე ამხანაგითურთ კახადამა და სხ. სოფლებიდამ. ესენი მოელოდნენ მარჯვე დროს, რომ უსისხლოდ შესრულებულიყო დიადი საქმე. ასეთ დროდ აღმოჩნდა ხსენებული I850 წელი. წავიდა თუ არა სულთანი დანიელ-ბეგ, ინგილოთა წინაკაცებიც გაუდგნენ ტფილისის გზას.

5 ოკტომბერს 1850 წელს სიონის ტაძარში მოინათლნენ ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოტე ჭირღიტაშვილი და ხუთნიც სხვანი. ამათვე 1851 წელს აქვე მოიყვანეს და მონათლეს (7 აპრ) 37 ინგილო, მათ მორის იყო ჩემი ბიძაშვილი ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ჯანაშვილიც. ივან-ბაბას, გიორგი ჯანაშვილის და მათ ამხანაგების მონათლვას დიდის ამბით მიეგება ქართველი საზოგადოება: მათ ნათლიებად ბრძანდებოდნენ მეფის მოადგილის თავად ვარანცოვის მეუღლე ელისაბედი, ნინა

გრიბოედოვი, შეფისძე ოქროპირი,თავადი ანდრონიკაშვილი, გენერალი რეუტი და სხ. სახსოვრად გიორგი ჯანაშვილმა გრიგოლ ორბელიანისაგან მიიღო ქართული წიგნი, რომელიც დღეს ამშვენებს მის შვილის ბიბლიოთეკას.

ახალ მონათლულებშა თან წაიყვანეს ქართველი სამღვდელოება. ერის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ბედისგან დაკარგული და დაჩაგრული ძმები ერთმანეთს ეხვევოდნენ, ეამბორებოდნენ; დანათლულები დაქცეულ ტაძრებს გამალებულად აგებდნენ, მაღლა აღმართულ ზარების ძახიან ხმას კიდის-კიდე მიჰყვებოდა ერის გამამხნევებელი მილოცვა. ჭეშმარიტად, მაშინ აღსდგა ქრისტე მკვდრეთით სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი და საფლავებით შინა მყოფებისთვის ცსოვრების მიმნიჭებელი.

ამისთანა ამაგისთვის ამიერიდგან ივან-ბაბა ბულუღაშვილის

საფლავს დაამშვენებს მის პატიოსან შრომით მოგებული ლამაზი ძეგლი, უკვე შემზადებული საინგილოს საზოგადოებათაგან.

„არც კაცი ვარგაო“, გვითვლის ნიკო ბარათაშვილი, „იყოს სოფელში და სოფელს კი არარა არგოსო“.

ეს დავალება უკვდავ მგოსნისა ჭარბად დააკმაყოფილა უკვდავმავე ერის წინამძღოლმა ივან-ბაბამ.

აქვე ვურთავთ ორს ლექსს, რომელიც ვერ დავბეჭდეთ ჩვენს „საინგილოში“.

---

*) დროს განმავლობაში თვითცნობიერების საქმემ მახინჯი სახე მიიღო ზოგიერთ სოფლად, მაგრამ ამის ბრალი იმდენად ერს არ ედება, რამდენადაც მის მახლობელს ხელმძღვანელებსა და გაფანატიკოსებულს მოლებს.

1. არჩილ მეფის თქმული

(კარი 43 „ბატონის თეიმურაზის მონდომება ლეკის წუხეთის (=წუქეთი=წახური) წახდენისა“. დაბეჭდილის **„არჩილიანის“** 118-119 გვ.)

გამიწყრა ოდეს ყეენი,*)
მოჰყვა წუხეთს (წუქეთს) ვინა ზისა,
ალიბეგ სახელდებული
პატრონი სარუბაშისა; **)
მისი მომინდა პასუხი,
ჩვენება ჩემი რაზმისა.
ალონში ცხენი წამექცა,
თავს მტვერი გადავიყარე:
ძალიან დამცა მიწასა,
მაჯები ამოვიყარე,
ვეღარ შევიძელ ლაშქრობა,
ვერ წაველ, ვერ ავიყარე,
ზურაბ, კახნი, ქართლელნი
მათად სამტეროდ წავყარე.
ევლოთ, მისლოდენ სარუბაშს
მას შეუტყობრად მყოფარსა,
ვეღარ გაუსწრებს წუხეთსა,
გარ ჯებირს შემოიფარსა.
ქვეითად შეუხდებიან,
აგლეჯენ ხმალსა და ფარსა.

---

*) ამბობს მეფე თეიმურაზი 1613 წელს.

**) ყაენს მოჰყვაო წუქეთში(საინგილოში) მჯდომი ერისთავი ალიბეგი (ვახახიშვილი).

ზურაბ ცხენით გარდმოუხდა,
შეუზახა სულ ლაშქართა:
„გადმოხედით ყველა ცხენით
ვინ ბძანებით აქა ხართა.
ვითღა მიხვალთ მეფესთანა,
თავს ვერ ნახავთ განახართა!
ვძლევთ ომითა, ვერ დაგვიდგენ
ხმალ მოწვდილთა და ნაფართა“.
ამ სარდლობით მალ აეღოთ
ჯებირი და სხვა სიმაგრე.
თავი მოსჭრეს ალიბეგსა,
შეუზახეს: იდევ აგრე!
ვით გმართებდა შექმნილიყავ
შაჰ აბაზის შენ მოსაგრე!*)
სარუბაში დაგვიდგა,
წა, წახური გაამაგრე!“
მოვიდნენ თავი მომართვეს,
კულავ საშოვრის ფანჯიაკი**).
სისხლნი მათნი მათ მოღვარნეს,
შეუღებნეს იატაკი.
იგი მხარე მოერბივნეს,
დაეცალათ ცხვართა ბაკი,
მომილოცეს, მივულოცე,
თქვეს: გათავდა თქმული აკი“.

—

1636 წლის წინად იგივე მეფე ბძანდებოდა საინგილოს სოფელ ბაზარში:

*) ლაშქრობის თანამოზიარე, ლაშქრობაში მშველელი.

**) მეხუთე ნაწილი, – ვახტ. სამართ. 255: „ომში ნაშოვნის საქონლისათვის თუ ან თარეშობით ნაშოვნი იყოს, თუ ხელმწიფე იქ ბძანდება, რომელიც ეპრიანება, იმას მოართომს და ფანჯიაკსაც აიღებს. თუ არ ბრძანდება, ფანჯიაკს მაინც აიღებსო“. ქართლის ცხ. 308 „აღიღეს ფანჯიაკი სამეფოდ“.

„მცირეს ხანს ბაზარს ვდგებოდით
სალხინოთ, სათამაშოთა.
ბაზრიდან აყრას დიდებით
სანადიროსა წასვლასა
კაცი ვერ იტყვის ენითა..
ოთხმოცსა ყათარს აქლემსა
ცხენ-ჯორსა, აზავერს*) გარდა,
კარვებს მის მოფენილობით

ჰკიდებდენ, იდვის მუნ გორ-და
ტყუილი ეს არ გეგონოს.
მართალ არს, არ ჭორ-და,
ნუზლიც მრავალი წავიღით..
მინდვრები სოფლებს გაშორდა...
კულმუხელთ და კახთ სიმრავლე
ამად გასინჯე კუხოსი!
ამ დღეს გავეც, სხვას გარდაის,
ასი ჯიღა, ასი ტყავი,
კვლავ ცხენები ბედაური,
ართუ ზურგზე განატყავი.
ამათ გარდა აბრეშუმი
სამოც აქლემს ნატვირთავი,
არ დავაგდე უბოძვარი,
ღარიბები მოურთავი“.

—

თუმცა ქვეყნის მოღალატე ალიბეგი ვახახიშვილი) მოჰ-
კლა თეიმურაზმა, მაგრამ მისი შთამომავლობა მომაგრდა კა-
ხის ზემო ქურმუხის ხეობაში და აქედგან იწყო გამგეობა--
სულთნობა.

---

*) აზავერი, საპალნის ასაკიდარი ხარი.

2. ინგილოთა სიმღერა*)

საინგილოსთვის
არს ივან-ბაბა,
გიორგი, კოტე...
ვით წმინდა საბა
სულ რვანი კაცნი **)
სიტყვით საქმითა
იღვწიან ძმურად
რუდუნებითა:
უშიშრად იცვენ
სარწმუნოებას,
მამა პაპათა
წეს-ჩვეულებას,
მოჰყავთ მოძღვარნი
ტფილისიდანა,
ნათვლენ უმღვდელოთ
შთენილთ დიდხანა,
ტაძრებსა ხსნიან
დაკეტილებსა,
ერსა ასმენენ,
ტკბილ გალობებსა;

ენა ჩაგრული
ესალბუნება
ერსა ნანასებრ,
ლაღობს ბუნება;
წიგნი შემოდის
მამა-პაპური,
ნათლდება ქვეყნის
კიდის კიდური:

*) „თემი“ 1912 წ. № 77.

**) ივან-ბაბა ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, ალექსანდრე მურადაშვილი, გაბრიელ ასანაშვილი, კოტე ჭირღიტაშვილი, ბედირ მურადაშვილი, დურში ალმასაშვილი, სიმონ ხალილაშვილი (ნათლ. დავთ).

სად გუშინ წამლად
არ ჩნდა წასწავლი,
დღეს იქ არს ნალოცთ*)
საკმაო მრევლი.
ათას სამას წლის
არჩილ მეფისა
საყდარი ** ბრწყინავს
გორას კასრისა:
თანაც ოთხთავი
ხუციანთ კერად
ერსა უხდება
სალოცავ საყდრად***)
წმიდა გიორგი,
დიდი საყდარი,
მთლიანის ქვისა
დასაყუდარი, ****)
აქაურობის
არის დამცველი,
აღმოსავლეთის
მარად მფარველი,
ჭანდრის საყდარიც
კეჭნისა მთებში

*) ნალოცი, ინგილოურად ნასწავლი, ინტელიგენტი.

**) ააშენა არჩილ მეფემ მერვე საუკ. დამდეგს, განაახლა ამ რამდენიმე წლის წინად ინგილო მღდ. მიხეილ ყულოშვილმა. საყდრის ეზოში დაფლულია ისეთი უზარმაზარი ქვევრი, რომ, როგორც იუწყება გადმოცემა, იტევდაო 1001 ჩაფ ღვინოს 1001 კომლოვან კაკიდამო (კახიდამ). თითო კომლს ზედაშედ თითო ჩაფი მოჰქონდაო სთვლობას და ქვევრიც ივსებოდაო, კვირაძალს კი (თომას კვირას) ქვევრს ხდიდნენო და დახოცილთ სულს ზიარად იხსენებდნენო.

***) ხუციანნი ანუ ხუციშვილები(კახში) შთამომავალნია იმ ხუცესის აბრამისა, რომელიც აწამა სულთანმა. მათს ოჯახში დარჩენილა ოთხთავი და ყველა სხ. საეკლესიო სამსახურებელი.

****) წმ. გიორგი ქურმუხისა (ალაგობრივ-ქურმუხის საყდარი ანუ დიდ-საყდარი), რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილს მოუხსენებია საქარ-

თველოს 365 წმ. გიორგთა შორის. მთლიანი ქვაა, საყდრის სახით გამოკვერცხილია.

– 14 –

შეფარებულა
ბურვილს ბარდებში *)
მის ქვემო მოჩანს
თეთრი საყდარი,
იქვე ჰმარხია
მრავალი მკვდარი. **)
იქით არს ყუმი, ***)
ლექეთი, ზარნა,****)
რომელნი მტერმა
დასცა-დაბზარნა
თვით კასრისა ძირს
ბარბაროს საყდრის *****)
მოჩანს სერტყები
ხისა აყრილის.
ეს სიწმინდენი
მტრისა ხელითა
თუმცა ვნებულან
ვერაგობითა,
მაგრამ მათ მადლით
სძლებს ეროვნება
მხარეს შორეულს,
არ-რა ევნება,

---

*) პაატას ღელის ფერდობზეა. მის ეზოში, ნანგრევებ შორის, გდია ლოდი ზედ-წარწერით. წარწერა ფრიად ძველი დროისაა. საყდრის ეზო-ყურეში დიდრონი ჭანდრებია და ტყე.

**) საფლავებს ნიაღვარი აფუჭებს, საყდარიც დანგრეულია ბალავ-რამდე.

***) დიდი საყდარია სოფელ ყუმს, დანგრეული.

****) მცხეთას ეკუთვნოდა. დიდებული მარანი ჰქონია. ქვევრები 70-მდეა. ლექეთსა და ზარნაში დღეს მოსახლეობენ ლეკები. ლექეთშიაც დიდი საყდრების ნანგრევებია.

*****) ეკუთვნის ქიტიაშვილებს.

– 15 –

შთება აქ სული
ქართველობისა,
მის უწინდელ დროს
დიადობისა.
ერი ძლიერი,
ხალხი გულადი,
მეტად ვაშკაცი,
მხნე და პურადი
მადლითა დიდის
კასრის წმინდისა

გულითა არის
ანდამანტისა.
მის ფრთესა ქვეშე
განისვენებენ
წმინდა ბებრები, *)
გმირთ სულს კაცს უდგმენ.
მათთან გიორგიც **)
ზიარს სავანეს
ჰპოებს განსასვენს
სამაროვანეს
ქურმუხის წმინდა
მიმდებ ხნიდგანა
ლოცავს „თეთრს ქართველ,
ზე-მაღლიდგანა. ***)

---

*) „ბებრების სამარიები“ წმ. ბებერ დედაკაცების საფლავები კახს, ბრიმა-ღელეში.

**) გიორგი ჯანაშვილი.

***) კავკასიონის ფერდობის ცხვირზეა.

ხმაც იდუმალი,
მნუგეშებელი
მოსთქვამს, იძახის
გამმხნევებელი:
ლელო შენია,
მხნეო ქართველო,
ქვეყნის შორეულ
მიჯნის დამცველო;
აწ ვეღარ გჩაგრავს
ჰაჯი-აღაი,
ვეღარც სულთანი
დანი-აღაი,
ჭარის ჭანკები
ვერ მძვინვარებენ,
ლეკნიც დაღისტნის
ვეღარა გმტრობენ,
გაშალე დროშა
მშვიდობიანი,
გალეწე კალო
ბარაქიანი,
თან შემოსძახე
გამარჯვებისა
სიმღერა ტკბილი
წინსვლის, ძლევისა.